პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სსრ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОММУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 11 მარტი, 1943 წ. № 58 (6683). ფასი 20 კაპ.

მოსწავლეთა სამხედრო სწავლება

მოსწავლეთა სამხედრო სწავლება სერიოზული, სახელმწიფოებრივი ღონისძიებაა. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 24 ოქტომბრის დადგენილებით მიმდინარე წელს დაიწყო მოსწავლეთა სამხედრო სწავლება თავდაცვის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

მოსწავლეთა სამხედრო სწავლების მიზანია აღზარდოს მოზარდი თაობა სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, მოამზადოს დისციპლინირებული, ფიზიკურად მაგარი და ამტანი, სამხედრო საქმეს დაუფლებული ვაჟები, სანიტარული რაზმელების მოვალეობის ამსრულებელი, აგრეთვე რადისტი, ტელეგრაფისტი და ტელეფონისტი ქალები.

მოსწავლის სამხედრო სწავლების წარმატება ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად გაიგებენ თავის ამოცანებს სამხედრო ხელმძღვანელები, რამდენად შესძლებენ ისინი მოსწავლეების დაინტერესებას, მეცადინეობის სწორად ორგანიზებასა და ჩატარებას. მეცადინეობა უნდა ტარდებოდეს ცოცხლად, საინტერესოდ და ხალისიანად; ახსნა-განმარტებას მასწავლებელი უნდა იძლეოდეს მარტივი და გასაგები ენით, უნდა მოჰყავდეს ნათელი ფაქტები და მაგალითები სამამული ომიდან. ყველა მეცადინეობა, როგორც წესი, უნდა ტარდებოდეს საბრძოლო პირობებთან რაც შეიძლება მეტი მიახლოებით, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

იმ სკოლებში, სადაც განსახკომის ადგილობრივი ორგანოებისა და სამხედრო კომისარიატების მიერ გამოყოფილია სამხედრო საქმის კარგი მცოდნე, სერიოზული სამხედრო ხელმძღვანელები, მოსწავლეთა სამხედრო მომზადება იმ თავითვე სანიმუშოდ მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, სანიმუშოდ არის დაყენებული მოსწავლეთა სამხედრო სწავლება თეთრიწყაროს, ლუქსემბურგის, თბილისის 65-ე, 29-ე, 42-ე, 57-ე, მე-9, მე-18 სკოლებში. მაგრამ ზოგიერთ სკოლას არა თუ კარგი სამხედრო ხელმძღვანელი, არამედ საერთოდ სამხედრო ხელმძღვანელი არც კი ჰყავს. სკოლების თითქმის 19 პროცენტი ჯერ-ჯერობით უზრუნველყოფილი არ არის სამხედრო ხელმძღვანელებით. მაგალითად, სამხედრო ხელმძღვანელები არა ჰყავთ სკოლებს დუშეთის, საგარეჯოს, ბოგდანოვკის, საჩხერის რაიონებში. უმწეო მდგომარეობაში არიან ზოგიერთი სკოლები აგრეთვე იმის გამო, რომ არა ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები რადისტების, ტელეგრაფისტებისა და ტელეფონისტების მოსამზადებლად. განსაკუთრებით არა ჰყავთ ხელმძღვანელები სანიტარული რაზმელების მოსამზადებლად. ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ წითელი ჯვრის კომიტეტმა, ჯანსახკომის ადგილობრივმა ორგანოებმა.

ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს სამხედრო ხელმძღვანელთა დენადობას. ადგილობრივი სამხედრო კომისარიატები ზოგჯერ კარგ სამხედრო ხელმძღვანელს რატომღაც არ აჩერებენ სკოლებში და სხვა სამუშაოზე გადაჰყავთ, ანდა მათ იყენებენ სხვადასხვა ტექნიკური დავალებების შესასრულებლად და ამით ხშირად სამხედრო გაკვეთილებს აცდენენ.

სამხედრო სწავლების ორგანიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ ბაზას. საქ. სსრ განსახკომმა რესპუბლიკის სკოლებისათვის ნახევარი მილიონი მანეთის ღირებულების სამხედრო მოწყობილობა და სასპორტო ინვენტარი გამოჰყო, მაგრამ გაწათლების ზოგიერთი განყოფილება (ბოგდანოვკის, გეგეჭკორის, დუშეთის, ვანის, თელავის, კასპის) დღემდე არ იწუხებს თავს ამ მოწყობილობისა და ინვენტარის მიღებისათვის.

სამხედრო სწავლების მატერიალური ბაზის ძირითად წყაროდ, რასაკვირველია, მაინც ადგილობრივი საშუალებები რჩება. თვით მოსწავლეებმა უნდა დაამზადონ თოფების, გრანატების და სხვა სასწავლო ინვენტარის მაკეტები. ამას კი ყველა სკოლა არ აკეთებს.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მთელმა რიგმა სკოლებმა ჯერ კიდევ ვერ მოაწყეს სამხედრო კაბინეტები და სასპორტო მოედნები, ანდა არსებული რატომღაც გააუქმეს. მაგალითად, თბილისის ორჯონიკიძის და ლენინის სახელობის რაიონების ზოგიერთმა სკოლამ იმისათვის, რომ კაბინეტი მოეწყო, გააუქმა სასპორტო დარბაზი, ჩოხატაურში კი გააუქმეს სასპორტო მოედანი და დათესეს სიმინდი.

მოსწავლეთა სამხედრო მომზადების ხარისხის ასამაღლებლად თითოეულ სკოლაში არასასწავლო საათებში უნდა ტარდებოდეს მასობრივი სამხედრო – სასპორტო მუშაობა, როგორც, მაგალითად, სასპორტო თამაშობანი, ჭიდაობა, სათხილამურო ლაშქრობანი, რბენა, ხალხური ცეკვა-თამაში, საპარაშუტო კოშკიდან გადმოხტომა და სხვ. თითოეულ კლასში მეცადინეობის დაწყებამდე 10–15 წუთის განმავლობაში სუფთა ჰაერზე უნდა ტარდებოდეს აგრეთვე გამამხნევებელი ფიზიკური ვარჯიში.

უსათუოდ კარგ ინიციატივად უნდა ჩაეთვალოს თბილისის სკოლებს (65-ე, 47-ე, 63-ე, 49-ე, 29-ე) სამხედრო ერთთვიურის ჩატარება. მათ მიჰბაძეს ზოგიერთმა რაიონულმა სკოლებმაც. მაგალითად, თეთრიწყაროს სოფ. ირაგინის საშუალო სკოლამ. ერთთვიური ჩაატარა 25 იანვრიდან 25 თებერვლამდე და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. სკოლაში ამაღლდა მეცადინეობის ხარისხი, შრომის დისციპლინა, მოსწავლეებმა შეისწავლეს შაშხანის მატერიალური ნაწილი, ჩაატარეს 4 ქვეითი გასამხედროებული და 3 სათხილამურო ლაშქრობა და სხვ.

დიდი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა სამხედრო სწავლებისათვის ეკისრებათ სკოლის კომკავშირულ, პიონერულ და მოსწავლეთა ორგანიზაციებს. მათ დახმარება უნდა გაუწიონ სამხედრო ხელმძღვანელებს მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებაში, ერთთვიურის მიღწევათა შენარჩუნება-გაფართოებაში, მათ უნდა დანერგონ თითოეულ მოსწავლეში იმის შეგნება, რომ დისციპლინა, სამხედრო წესვრულობა სკოლის გარეშეც დაიცვან.

მოსწავლეთა სამხედრო სწავლებაში დიდი წარმატებების მიღწევა შეიძლება. მოსწავლეები, აღფრთოვანებულნი გმირი წითელი არმიის გამარჯვებებით, ცდილობენ მაგალითი აიღონ სახელოვანი წითელი მებრძოლებისა და მეთაურებისაგან, გულმოდგინედ, ინტერესით სწავლობენ და ეუფლებიან სამხედრო საქმეს.

ამ დღეებში მთელი ჩვენი ქვეყანა უსაზღვრო აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის **ი. სტალინისათვის** საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას. ამ ცნობას სიხარულით შეხვდა საბჭოთა ახალგაზრდობა. ახალგაზრდა მოსწავლეებო! მაშ კიდევ უფრო საფუძვლიანად დაეუფლეთ სამხედრო საქმეს, ღირსეულად მოიხადეთ თქვენი ვალი სამშობლოს წინაშე.

რწმუნების სიგელების გადაცემა ჩინეთის ელჩ ბ-ნ ფუ ბინ-ჩანის მიერ

1943 წლის 9 მარტს, დღის 12 საათზე, კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო ჩინეთის რესპუბლიკის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ფუ ბინ-ჩანი, რომელმაც თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ბ-ნ ფუ ბინ-ჩანს ახლდნენ საელჩოს მრჩეველი ბ-ნი ჩენ დინი, სამხედრო ატაშე—გენერალ-მაიორი გო დე-ჩუანი, საელჩოს პირველი მდივანი—ბ-ნი ჩენ დაი-ჩუ და სსრ კავშირში ჩინეთის საელჩოს სხვა წევრები, რომლებიც ელჩმა წარუდგინა ამხ. მ. ი. კალინინს.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფ. გორკინი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ფ. ფ. მოლოჩკოვი.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ბ-ნ ფუ ბინ-ჩანს საუბარი ჰქონდა ამხ. მ. ი. კალინინთან.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

იმ პარტიზანთათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ზურგში წარმოებულ პარტიზანულ ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“:**

1. გრიგოლ ვასილის-ძე **ბალიცკის**
2. სერგი ვლადიმერის-ძე **გრიშინს**
3. კონსტანტინე სერგის-ძე **ზასლონოვს**
4. გენადი პეტრეს-ძე **იგნატოვს**
5. ევგენი პეტრეს-ძე **იგნატოვს**
6. მიხეილ ივანეს-ძე **ნაუმოვს**
7. ვასილ მაქსიმეს-ძე **იარემჩუკს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 7 მარტი.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით:

1. სერჟანტი ვლადიმერ იოსების-ძე **ობართელი**
2. უფროსი ლეიტენანტი ალექსი ტარასის-ძე **შკურუპია**

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. სანინსტრუქტორი კონსტანტინე ძუკუს-ძე **ჩაჩიბაია**

მედლით „მამაცობისათვის“:

1. ზემდეგი გიორგი ლავრენტის-ძე **გამყრელიძე**
2. პოლიტხელი ამბროსი ბიჭიას-ძე **დევიძე**

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

1. წითელარმიელი შაქრო სიხოს-ძე **ქიტოშვილი.**

უკანასკნელ საათს

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ბელი

10 მარტს ჩვენმა ჯარებმა, განაგრძობდნენ რა შეტევის განვითარებას, დაიკავეს ქალაქი ბელი (სმოლენსკის ოლქი).

წამოღებული დავლის დათვლა სწარმოებს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

სტალინს გამარჯვებისაკენ მივყევართ

მოქმედი არმია, 9 მარტი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას „ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს მთავარსარდალ ამხანაგ სტალინისათვის, საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ“. ამ დღეს მებრძოლნი და მეთაურნი არაჩვეულებრივი აღტყინებით იბრძოდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ამინდი თითქმის უვარგისი იყო საფრენად. მიწაზე ნისლი წვებოდა, ციდან ·სველი თოვლის ფანტელი ცვივოდა. მაგრამ ჰაერში მოტორების გუგუნი არა სცხრებოდა. იმ ნაწილის მფრინავებს, რომლის მეთაურიც არის პოლკოვნიკი მირონენკო, განუწყვეტლივ მიჰქონდათ იერიში მტერზე, რომელსაც კონტრიერიშები მოჰქონდა, და მწყობრიდან გამოჰყავდათ მისი ტექნიკა.

სადილს შემდეგ ყველა ესკადრილიაში მიტინგები გაიმართა. შეიკრიბნენ მფრინავები, მექანიკოსები, მოტორისტები, მეიარაღეები. ბევრ მათგანს ორდენები უმშვენებს მკერდს. სიტყვას იღებს კაპიტანი გოლოვჩენკო. იგი ლაპარაკობს გენიალურ მხედართმთავარზე, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინზე. რომლის ხელმძღვანელობით წითელი არმია ანადგურებს და ელეტს გერმანელ ოკუპანტებს, უდიდეს პატივზე, რომ იყო იმ არმიის ჯარისკაცი, რომელსაც სათავეში უდგას სტალინი. სტალინური შევარდნები „ვაშას“ ძახილით მიესალმებიან თავიანთ საყვარელ ბელადს.

სიტყვას ამბობს ესკადრილიის მეთაური ლეიტენანტი ხომენკო:

— დიდი სტალინის სამხედრო ნიჭმა სამოქალაქო ომის წლებში იჩინა თავი. მან ლენინთან ერთად გადაარჩინა დაღუპვას ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. დიდი სტალინი ხელმძღვანელობს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ახლანდელ სამამულო ომშიც. სტალინს უნდა ვუმადლოდეთ გერმანიის ჯარებზე გამარჯვებას მოსკოვთან და ლენინგრადთან. სტალინს გეგმით განხორციელებულ იქნა ჰიტლერის რჩეული არმიის განადგურება სტალინგრადთან. მას უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს წარმატებებს ულრანაში, ჩრდილოეთ კავკასიაში და სხვა ფრონტებზე. ჩვენ, მფრინავები, ისევე როგორც მთელი წითელი არმია, მივესალმებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას ამხანაგ სტალინისათვის, საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ.

მიტინგებზე მიღებულ იქნა მისალმებანი ამხანაგ სტალინისადმი.

დიდ სტალინს მივყევართ მტერზე საბოლოო გამარჯვებისაკენ

უდიდესი პატრიოტული აღმავლობით ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 6 მარტის ისტორიული ბრძანებულებისადმი მიძღვნილი მიტინგი იმ ქარხანაში, სადაც დიდ-ექტორად არის ამხ. ა. მელაძე. აღნიშნული ბრძანებულება—სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს მთავარსარდალ ი. ბ. სტალინისათვის, საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ, მიტინგზე თავმოყრილ მუშებს, მოსამსახურეებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს გააცნო საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. დაშნიკავა.

მიტინგზე შეგროვილთა საერთო აღფრთოვანება და სიხარული ამ ცნობის გამო თავიანთ სიტყვებში გამოსახეს ქარხნის მოწინავე სტახანოველებმა—მეხუთე საამქროს მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. ა. ხაჯიევმა, მეინსტრუმენტე ბ სელეზნიოვმა და ორდენოსანმა ხარატმა მ. აკოფოვმა. ამხ. ა. ხაჯიევმა განაცხადა, რომ მისი ბრიგადა, რომელშიაც 11 სტახანოველია, კისრულობს იმუშაოს ზუსტად გრაფიკის მიხედვით და 50 პროცენტის გადაჭარბებით შესრულოს მარტის საწარმოო გეგმა. ამხ. სელეზნიოვმა იკისრა მარტის გეგმის 300 პროცენტით შესრულება ხოლო ამხ. მ. აკოფოვმა—500 პროცენტზე მეტით შესრულება.

— დღეს ვმუშაობთ უკეთესად, ვიდრე ვმუშაობდით გუშინ,—სთქვა ამხ. აკოფოვმა,— ხოლო ხვალ უკეთესად ვიმუშავებთ, ვიდრე დღეს. ის რწმენა, რომ ჩვენ გვხელმძღვანელობს დიდი სტალინი, რომელსაც მივყევართ მტერზე საბოლოო გამარჯვებისაკენ, ენერგიას გვატყობს და გვახალისებს ახალი შრომითი მიღწევების მოსაპოვებლად.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივმა იკისრა წინასწარული სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მიღწევა.

ამხანაგ სტალინის სახელი ჩვენი საბრძოლო დროშაა

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამართველოს მუშა-მოსამსახურეები უდიდესი სიხარულით გაეცნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს მთავარსარდალ **ი. ბ. სტალინისათვის** საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ.

ბრძანებულების ტექსტი მიტინგზე წაიკითხა ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ადგილობრივი საპაერო თავდაცვის უფროსმა ამხ. ი. ივანოვმა.

სიტყვას იღებს სტახანოველი ზეინკალი ამხ. ა. სერი:

— ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ ჩაფუშა ჰიტლერული სარდლობის ყველა ვარაუდი და უდიდეს ბრძოლებში მტაცე საფუძველი ჩაუყარა მტერზე გამარჯვებას. ჩვენ, ზურგის მუშაკები შევასრულებთ ჩვენს წმიდა მოვალეობას სოციალისტური სამშობლოს წინაშე და ზურგში თავდადებული შრომით დავაჩქარებთ გერმანელ ფაშისტ. ოკუპანტთა სრულ განადგურებას. მე ვალდებულებას ვიღებ კიდევ უკეთესად, უწმინდ ვიმუშაო და გეგმა 300 პროცენტით შევასრულო.

მიტინგზე სიტყვებით გამოსულმა ამხ. ა. დანჩენკომ, ს. თოდრიამ, ა. შინგაზდილოვმა და რ. პეტრიაშვილმა იკისრეს ახალი კონკრეტული ვალდებულებანი და პირობა დასდეს იმუშაონ გაათკეცებული ენერგიით.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

ლენინის ორდენით:

1. გენერალ-მაიორი **ავერკინი** დიმიტრი ივანეს-ძე
2. პოლკოვნიკი **დროჟჟინი** მიხეილ ივანეს-ძე
3. გენერალ-მაიორი **ეფიმოვი** პავლე ივანეს-ძე
4. ტექნიკური ჯარების გენერალ-მაიორი **ზელენცოვი** თევდორე ნიკოლოზის-ძე
5. ტექნიკური ჯარების გენერალ-მაიორი **ილმენსკი** პავლე ალექსანდრეს-ძე
6. პოდპოლკოვნიკი **კოსტიუკი** მაქსიმე გრიგოლის-ძე
7. გენერალ-ლეიტენანტი **კურდიუმოვი** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე
8. პოლკოვნიკი **ლომაკოვსკი** ივანე ნიკიფორეს-ძე
9. გენერალ-ლეიტენანტი **რემიზოვი** თევდორე ნიკიტას-ძე
10. გენერალ-მაიორი **სმირნოვი** პავლე კუზმას-ძე.

წითელი დროშის ორდენით:

1. ტექნიკური ჯარების გენერალ-მაიორი **ანდრიანოვი** ალექსანდრე ალექსის-ძე
2. პოდპოლკოვნიკი **ბარანოვი** სიმონ პეტრეს-ძე
3. **ბაგიროვი** მირ ჯაფარი.
4. არტილერიის გენერალ-მაიორი **ბესკროვნოვი** პეტრე მაქსიმეს-ძე
5. პოლკოვნიკი **ბოგდანოვიჩი** პეტრე კონსტანტინეს-ძე
6. ბრიგადის ინჟინერი **ბუხარევი** თევდორე გიორგის-ძე
7. პოლკოვნიკი **ვორონინი** ალექსანდრე ვასილის-ძე
8. გენერალ-მაიორი **გაიდუკოვი** ბენიამინ ანდრიას-ძე
9. არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი **გუდიმენკო** პეტრე ემელიანეს-ძე
10. პოლკოვნიკი **დანილოვი** ალექსანდრე ვასილის-ძე
11. პოდპოლკოვნიკი **დოროჟკინი** ფროლ ნიკოლოზის-ძე
12. პოლკის კომისარი **დროზდოვი** ილია იაკობის-ძე
13. პოლკოვნიკი **დუბოვი** ვსევოლოდ ბორისის-ძე
14. გენერალ-მაიორი **ემელიანოვი** სერგი სტეფანეს-ძე
15. პოლკოვნიკი **ერემინი** გრიგოლ მიხეილის-ძე
16 გენერალ-მაიორი **ერმოლაევი** ალექსანდრე გრიგოლის-ძე
17. არტილერიის გენერალ-მაიორი **ჟუკი** ივანე იაკობის-ძე
18. არტილერიის გენერალ-მაიორი **კუზნეცოვი** მიხეილ ვასილის-ძე
19. პოლკოვნიკი **ლობოვი** მიხეილ ტიხონის-ძე
20. ბრიგადის ექიმი **მოიუესი** ლაზარე მოსეს-ძე
21. პოლკოვნიკი **პოპოვი** ექვთიმე აბრამის-ძე
22. პოლკოვნიკი **ნესტეროვი** პავლე ილიას-ძე
23. პოლკოვნიკი **რაგოზინი** ნიკოლოზ ივანეს-ძე
24. პოლკოვნიკი **სოკოლოვი** მიხეილ ივანეს-ძე
25. **ჩარკვიანი** კანდიდ ნესტორის-ძე
26. მაიორი **ჩერნიავსკი** ვლადიმერ ივანეს-ძე.

სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით:

1. საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორი **ბაბინი** ანატოლი ვასილის-ძე
2. ავიაციის გენერალ-მაიორი **ვერშინინი** კონსტანტინე ანდრიას-ძე
3. სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი **დემენტიევი** ალექსანდრე ივანეს-ძე
4. გენერალ-მაიორი **დრატვინი** მიხეილ ივანეს-ძე
5. ადმირალი **ისაკოვი** ივანე სტეფანეს-ძე
6. მეკავშირე ჯარების გენერალ-ლეიტენანტი **კოროლევი** ივანე თევდორეს-ძე
7. კორპუსის სამხედრო იურისტი **მატულევიჩი** ივანე იოსების-ძე
8. არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი **პესტოვი** ვლადიმერ ივანეს-ძე
9. დივიზიის სამხედრო იურისტი **პეტროვსკი** ფილიპე ლავრენტის-ძე
10. გენერალ-მაიორი **სოროკინი** კონსტანტინე ლეონტის-ძე
11. გენერალ-მაიორი **ტიმოფეევი** გრიგოლ ტიმოთეს-ძე
12. გენერალ-მაიორი **ხადეევი** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე
13. გენერალ-მაიორი **ხარიტონოვი** ანდრია ალექსანდრეს-ძე.

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. მაიორი **ბურდასოვი** ივანე ვასილის-ძე
2. პოდპოლკოვნიკი **ვაინშტეინი** იული მარკოზის-ძე
3. პოლკოვნიკი **გრიგორენკო** ივანე ალექსანდრეს-ძე
4. პოდპოლკოვნიკი **გურჯი** ბორის რაფიელის-ძე
5. მაიორი **გუსაროვი** ალექსანდრე ვასილის-ძე
6. პოდპოლკოვნიკი **დემენტიევი** გიორგი გაბრიელის-ძე
7. პოლკოვნიკი **ეფიმოვი** ევგენი მიხეილის-ძე
8. პოლკოვნიკი **კალიუჟნი** ივანე პროკოფის-ძე
9. პოდპოლკოვნიკი **კონოპლევი** კონსტანტინე ვასილის-ძე
10. მაიორი **ლაგუტი** თევდორე ათანასეს-ძე
11. პოლკოვნიკი **მიხაილოვი** პანკრატ ნიკიტას-ძე
12. პოლკოვნიკი **როიტენბერგი** გიორგი მოსეს-ძე
13. 1-ლი რანგის სამხედრო ვეტექიმი **სპესიცევი** ნიკოლოზ ვასილის-ძე
14. პოდპოლკოვნიკი **სტეპოვიკი** სტეფანე ივანეს-ძე
15. 1-ლი რანგის სამხედრო ექიმი **შლიკოვი** ალექსი ალექსის-ძე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 22 თებერვალი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

10 მარტის დილის ცნობა

9 მარტის დამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

გეატსკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის რკინიგზის სადგური და რაიონული ცენტრი ტუმანოვო. მოწინააღმდეგე უკან იხევს ჩვენი ნაწილების დარტყმების გამო და მძიმე ზარალი მოსდის.

ერთი დასახლებული პუნქტის მისადგომებზე და ქუჩებში გერმანელებმა თავიანთი ჯარისკაცებისა და ოფიცრების 300-ზე მეტი გვამი დასტოვეს. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დაფა და ტყვეები.

საბჭოთა მფრინავებმა გუშინ მოსპეს 10-მდე ტანკი და 50-ზე მეტი ავტომანქანა მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარიანად და ტვირთიანად.

* * *

ხარკოვის სამხრეთით ჩვენი ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის ტანკებისა და მოტოქვეითი ჯარის დიდ ძალებთან. 6 შენაერთის ნაწილებმა რამდენიმე იერიში მოიგერიეს და მოსპეს გერმანელთა 15 ტანკი და 4 თვითმავალი ქვემეხი. სხვა უბანზე ჰიტლერელებმა შეტევაზე გადმოიყვანეს ერთი პოლკი ქვეითი ჯარი, რომელიც 30 ტანკის დახმარებით მოქმედებდა. ჩვენმა არტილერისტებმა და გვარდიელმა ნაღმმტყორცნელებმა გერმანელთა 14 ტანკი დააზიანეს და დასწვეს. ბრძოლის შედეგად ჰიტლერელებმა დაჰკარგეს 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და უკუგდებულ იქნენ თავდაპირველ პოზიციებზე.

* * *

ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი მესანგრეების ჯგუფმა ლეიტენანტ შაიდეტროვის, სამხედრო ტექნიკოს პროკოპონის და უმცროს ლეიტენანტ ისაკოვის მეთაურობით ღამით მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ 650 ნაღმი ჩაიწყო. მესანგრეების მიერ ჩაწყობილ ნაღმებზე აფეთქდა გერმანელთა 8 ტანკი და რამდენიმე ავტომანქანა ქვეითი ჯარიანად და სამხედრო ტვირთიანად.

* * *

სევსკის დასავლეთით ჩვენმა ნაწილებმა ერთი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მოწინააღმდეგეს წაართვეს 9 ტყვიამფრქვევი, 5 ნაღმსატყორცნი, საომარ მასალათა საწყობი და საწყობი სურსათიანად. საბჭოთა ტანკისტებმა იერიში მიიტანეს მტრის კოლონაზე, გაჟლიტეს 100-ზე მეტი ჰიტლერელი და მოსპეს 20 საზიდარი ტვირთიანად.

ბელორუსიის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი ტანკის პარტიზანებმა ლენინგრადიდან გიდან გადააგდეს გერმანელთა 6 სარკინიგზო ეშელონი (ოთხი ეშელონი ძალიან მასალიანად და სურსათიანად, ორი ეშელონი მარტივი ტვირთიანად). ეშელონი 119 ვაგონი და პლატფორმა. ამავე რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა საფრენიდან მოსპო 40 ჰიტლერელი.

* * *

ცენტრალური ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ტყვედ წამოყვანილია ჯგუფი ჯარისკაცებისა, რომელნიც გერმანიის არმიის სხვადასხვა შეიარაღებს ეკუთვნიან. გერმანიის 211-ე დივიზიის 317-ე პოლკის ტყვედ წამოყვანილმა ჯარისკაცმა გოტფრიდ პიოლენმა განაცხადა: „ჯერ კიდევ მანამდე, სანამ რუსების შეტევა დაიწყებოდა, ჩვენ ბუნდოვნად ვგრძნობდით, რომ ჩვენს უბანზე რაღაც მოხდებოდა. ჯარისკაცები ყველაზე მეტად შიშობდნენ, ვაითუ ალყა შემოგვარტყან და სტალინგრადთან მოსპობილი გერმანიის მე-6 არმიის ბედი გვეწიოსო“. ტყვედწამოყვანილმა გერმანელთა 208-ე ქვეითი დივიზიის 338-ე პოლკის ჯარისკაცმა კურტ შმიდტმა განაცხადა: „რუსეთის არტილერიამ „გადახსნა“ ჩვენი თავდაცვის მრავალი უბანი. როცა საარტილერიო მომზადება დამთავრდა, რუსების ტანკები შეუფერხებლად მოდიოდნენ პირდაპირ ჩვენს წინააღმდეგ. ჩემი ასეულის ჯარისკაცთა უმრავლესობა დაიღუპა, დანარჩენი კი ტყვედ დანებდა. ჩვენ შეეტყვეთ სტალინგრადთან გერმანიის ჯარების დამარცხების ამბავი. ზოგიერთი ჯარისკაცი ამის თაობაზე ამბობდა: „რუსებმა ერთი დარტყმით გაანადგურეს ყოველივე ის, რაც გერმანიის არმიამ დაიპყრო ერთი წლის განმავლობაში და რაც მას კოლოსალური სისხლის ფასად დაუჯდაო“.

* * *

ფრანგი თავისუფალი მსროლელნი სპობენ სურსათს, რომელიც გერმანელებმა ფრანგ გლეხებს წაართვეს. უახლეს დეპარტამენტში ეცალნენ წაუკიდეს საწყობს, რომელშიც 900 ცენტნერი შვრია დაიწვა. ფრენუარმა ეცხლმა მოსპო 600 ცენტნერი ჭვავი. გრენობლის საკონდიტრო ფაბრიკაში პატრიოტებმა გააფუჭეს 180 ტონა ფქვილის ნაწარმი, რაც გერმანიის ჯარებისათვის იყო განკუთვნილი. ვერხონის რაიონში ფრანგმა პატრიოტებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანიაში მიმავალი მატარებელი სამხედრო მასალიანად და სურსათიანად. ამ უბანზე 3 დღით შესწყდა სარკინიგზო მიმოსვლა.

10 მარტის საღამოს ცნობა

10 მარტს ჩვენმა ჯარებმა, განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, დაიკავეს ქალაქი ბელი (სმოლენსკის ოლქი).

ფრონტის სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

* * *

9 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბნებზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 20-მდე ტანკი, 100-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს საველე და საზენიტო არტილერიის სამი ბატარეის ცეცხლი და აფეთქეს მოწინააღმდეგის საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

სიჩოკის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევას ავითარებენ, 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური ნოვოდუგ

სიხლე სიხლისათვის!

მოქმედი არმია, 9 მარტი (საკდესის ხეც. კორესპონდენტისაგან). როცა ჩვენმა მებრძოლებმა ფრუნზეს სახელობის საბჭოთა მეურნეობიდან განდევნეს გერმანელები, მათ თვალწინ წარმოუდგათ საზარელი ტრაგედიის სურათი, რაც იქ ის-ის იყო მომხდარიყო.

უკან დახევისას, ჰიტლერელი ავაზაკები სარდაფებისაკენ გაემართნენ, სადაც იმალებოდნენ მუშები თავიანთ ოჯახებიანად; მათ გრანატები დააყარეს, ხოლო შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს იმ სახლებს, რომლებშიც მობინადრენი იყვნენ. ვინც კი ცეცხლმოკიდებული სახლიდან გამოვარდებოდა, გერმანელები ყველას ხვრეტდნენ.

სულ საბჭოთა მეურნეობაში აღმოჩენილია 34 მოკლული და 24 დაჭრილი. ექვსი კაცი ცეცხლმოკიდებულ სახლში დაიღუპა. მხეცურად მოჰკლეს დაჭრილი ქალი, წითელარმიელის ცოლი ქსენია გლიადია, სამი შვილის დედა.

დახვრეტილთა შორის არის 12 მამაკაცი—17-დან 63 წლამდე ასაკისა, 12 ქალი—14-დან 63 წლამდე ასაკისა და 10 ბავშვი—2-დან 10 წლამდე ასაკისა. მებრძოლები სულ უფრო და უფრო შორს მიიწევენ დასავლეთისაკენ. ისინი ხედავენ გადამწვარ ქოხებს, აფეთქებულ სახლებს, საზარელ სახრჩობელებს. არ არის ისეთი ქალაქი, არ არის ისეთი სოფელი, სადაც მტერს თავისი სისხლიანი ბოროტმოქმედების კვალი არ დაეტოვებინა.

სოფელ დოლგაია პოლიანაში გერმანელებმა ახალგაზრდა კოლმეურნე ოლგა ბორისოვნა-სული მონაკვეთი დააპატიმრეს და შტაბში წაიყვანეს. წარმოუდგენელი წამების შემდეგ, ჰიტლერელებმა კოლმეურნე ქალი გამოაგდეს და უთხრეს, რომ იგი „შეცდომით" იყო დაპატიმრებული. სოფელ დმიტრიევკაში ფაშისტებმა ჩამოახრჩეს "სრულიად უდანაშაულო მცხოვრებთა დიდი ჯგუფი, მათ შორის 63 წლის მოხუცი პეტრე მაქსიმეს-ძე ანდრახანოვი. კოლმეურნე პროკოფი დიმიტრის-ძე პოტაპოვმა, 62 წლისამ, სამხედრო სალამი არ მისცა ფაშისტ ეფრეიტორს. ამისათვის ბარბაროსებმა მას ხელები ულრძეს და ხეზე ჩამოკიდეს. როცა მოხუცმა გრძნობა დაჰკარგა ტკივილისაგან, ჩამოხსნეს და მხეცურად სცემეს.

სადგურთან მდებარე სოფელ ჩერნიანკოში ერთ ფაშისტ ოფიცერს თვალში მოუვიდა 19 წლის მარიამ ტოკმაჩოვა. ოფიცერი დახვრეტით დაემუქრა მას და თავის ბინაზე წაიყვანა. მარიამმა სახეში შეაფურთხა ოფიცერს და ქუჩაში გავარდა. გააფთრებული ჰიტლერელი გამოეკიდა. მაშინ მარიამს 13 წლის ძმა ნიკოლოზი მიეშველა. ოფიცერმა მას სცემა და ჯარისკაცებს უბრძანა დაეხვრიტათ ბიჭი. ჯარისკაცებმა ფეხები შეუკრეს ნიკოლოზს, მიწაზე ათრიეს მთელ სოფელში გარეუბნამდე და იქ დახვრიტეს. მხეცურად გაუსწორდნენ მარიამსაც. იგი ხელებით ჩამოკიდეს ბოძზე, რომელზეც მანამდე ეკიდა, სანამ გრძნობა არ დაჰკარგა.

საბჭოთა მეომრები დაიხსომებენ მტრის ყველა ბოროტმოქმედებას! მათმა შურისძიებამ დანდობა არ იცის, და ვერც ერთი ფაშისტი ოკუპანტი ვერ გაექცევა საშინელ მისაზღვეველს.

გ. კრილოვი

ფაშისტთა მხეცობა სმოლენშჩინაში

მოქმედი არმია, 9 მარტი. (საკდესის ხეც. კორესპონდენტისაგან). სმოლენსკის ოლქის ყოველ იმ სოფელში, რომელიც განთავისუფლებულია ჰიტლერელ დამპყრობთაგან, შეგიძლიათ ნახოთ იმ მხეკობის კვალი, რასაც ფაშისტები სჩადიოდნენ მშვიდობიანი ხალხთა მოსახლეობის მიმართ.

გეატსკის რაიონის სოფელ ჟაბინოში 150 მცხოვრებიდან მარტო 25 მოხუცი და ბავშვი გადარჩა ცოცხალი. გერმანელებმა კოლმეურნეებს მთლად წაართვეს ძროხები, ცხვრები, ღორები, ქათმები, უკლებლივ მთელი სურსათი. მოსახლეობა სამყურას გამხმარი თაფლის ნახარშით იკვებებოდა. ხალხი შიმშილით სიკდებოდა და იხოცებოდა. მარტო უკანასკნელი დღეების განმავლობაში, სანამ წითელი არმია მოვიდოდა, სოფელში 10 მოხუცი და ბავშვი მოკვდა შიმშილით.

უკან დახევის წინ ფაშისტებმა ცეცხლი წაუკიდეს სოფელს. 28 სახლიდან 9 გადარჩა. დაიწვა მთელი საზოგადოებრივი საკოლმეურნეო ნაგებობანი.

ჰიტლერელები თავიანთ ზურგში ერეკებიან ყველა მცხოვრებს, ვინც კი დამლევას ვერ ასწრებს. განადგურებულ გერმანელთა შტაბში წითელარმიელებმა იპოვნეს პასპორტი და კოოპერატივის წიგნაკი № 1277, სიჩოვას სახელზე. კოოპერატივის წიგნაკის ყდაზე ეწერა: „ვინც მე დამმარხავს, შეატყობინოს ჩემს შობლებს შემდეგი მისამართით: სმოლენსკის ოლქის გეატსკის რაიონის სტოლბოვსკის სასოფლო საბჭო, სოფელი დუბროვო, მარიამ სიჩოვას". მებრძოლებმა მოახერხეს იმის გამორკვევა, რომ კომკავშირელ 18 წლის ლუბა სიჩოვას გერმანელებმა საჯაროდ სცემეს

მარგანეცის მადნის გაუხვების ახალი წესი

მოსკოვი, 6 მარტი (საკდესი). უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და აროორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრის პროფესორის წოდება მიანიჭა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანს, ვ. მ. კაკაბაძეს.

ამხ. კაკაბაძე 25 მეცნიერული ნაშრომის ავტორია. მარგანეცის შლამებისა და მარგანეცის ღარიბი მადნების გამოყენებისადმი მიძღვნილი სადოქტორო დისერტაცია მეცნიერმა დაიცვა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის საბჭოს სხდომაზე. ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო. მაგალითად, პროფესორი ბუნტინი აღნიშნავს, რომ კაკაბაძემ პირველად დაადგინა ქიმიური წესით მარგანეცის მადნების გაუხვების ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები, დისერტაციაში დასახელებულია ახალი სახის ნედლეული და მარგანეცის ნარჩენის გადამუშავების მარტივი მეთოდები. ავტორმა აღმოაჩინა შლამისა და მარგანეცის ღარიბი მადნების გამოყენების დღემდე უცნობი გზები. კერძოდ, კაკაბაძემ დაამტკიცა, რომ ეს მადნები შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული ცემენტის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

სპეციალისტთა ერთსულოვანი დასკვნით ამხ. კაკაბაძის ახალი ნაშრომი ძვირფასი წვლილია ლიტერატურაში მარგანეცის ქიმიის შესახებ და თვალსაჩინო პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მრეწველობისათვის.

საუკეთესოდ ჩავაბარეთ საგაზაფხულო თესვა

ქობულეთელთა ინიციატივის პასუხად ჩაებნენ სოცშეჯიბრებაში

მახარაძე („კომუნისტის" საკ. კორ.). 7 მარტს მახარაძეში ჩატარდა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული შეკრება, რომელიც მოისმინა მიწგანის გამგის ამხ. შ. ჭანუყვაძის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. შეკრებამ მოისმინა აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივნის კადრების დარგში ამხ. ლ. მახარაძის მოხსენება სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების შესახებ. შეკრებამ განიხილა აგრეთვე ქობულეთელთა ინიციატივის სპასუხოდ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის საკითხი. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. ს. ესაძე. სოცშეჯიბრებაში ჩაბმასთან დაკავშირებით შეკრებაზე სიტყვა წარმოსთქვა საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. სიხარულიძემ.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პრობაგანდის დარგში ამხ. ი. თავაძე.

შეკრების გადაწყვეტილებით 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად მახარაძის რაიონმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ზუგდიდის რაიონი და თავის მხრივ აიღო შემდეგი ვალდებულებანი: ჩაის პლანტაციების თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 2.600 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარა 150.000 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. 5 პროცენტით გადიდოს ციტრუსების მოსავლიანობა, ამ მიზნით უზრუნველჰყოს პლანტაციების სანიმუშო მოვლა. დაუზიანებლად გამოაზამთროს ციტრუსის თითოეული ხე და იბრძოლოს გასული წლის ზამთრის ყინვებისაგან დაზიანებული ციტრუსების მოკლე დროში აღსადგენად. ბრუშუმის პარკის მოსავლიანობის გადიდების მიზნით დარგოს 20.000 ძირი მაღალტანიანი თუთის ხე. ჩაატაროს 15.000 ძირი თუთის ხის მყნობა. ქარსაფარი მცენარეები გააშენოს 67.000 სიგრძივ მეტრზე. ერთწლიანი მარცვლეული კულტურები გეგმის გადამეტებით დასთესოს 100 ჰექტარზე, ბოსტნეული — 20 ჰექტარზე. თავდაცვის ფონდისათვის მარცვლეული დასთესოს 120 ჰექტარზე. გადაჭარბებით შეასრულოს ყველა სატრაქტორო სამუშაო. მეცხოველეობის განვითარების გეგმები გაანაღდოს 5 პროცენტის გადაჭარბებით. საქონლისათვის შეაქ�საკვების მტკიცე ბაზა. მაქსიმალურად გაიხადოს კოლმეურნეობებში ქალთა შრომა. ამ მიზნით ყველა კოლმეურნეობაში უზრუნველჰყოს ბავშვთა ბაღების და ბაგების ნორმალური მუშაობა.

გარდა ამისა, მახარაძის რაიონმა იკისრა წელს მოამზადოს 15 ტრაქტორისტი, 4 მექანიკოსი, 15 მოანგარიშე და 10 ვეტფერშალი, დაუსებულ ვადაზე ადრე შეასრულოს ყველა სახელმწიფო ვალდებულება.

ლ. ლოლაძე

მგს-ში მუშაობა ახალი ძალით გაჩაღდა

ხაშური (ტელეფონით). ხაშურის მტს-ი ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე წარმატებით ემზადება 1943 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საუკეთესოდ ჩატარებისათვის. მტს-მა ვადაზე 10 დღით ადრე შესასრულა ტრაქტორების რემონტის გეგმა. მთლიანად შეკეთებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. მტს-ის ტრაქტორები უახლოეს დღეებში გაჩაღებენ მინდვრებში მუშაობას. ამ მიზნით საკმარისი რაოდენობით არის მომარაგებული საწვავ-საცხები მასალები, აგრეთვე ხელსაწყოიარაღები და სათადარიგო ნაწილები.

რემონტის წარმატებით ჩატარების საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ამხ. ლომსაძის, მოსიაშვილის და ლაცაბიძის სატრაქტორო ბრიგადებმა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1943 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის მტს-ების ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადების შესახებ ხაშურის მტს-ის მუშაკები უპასუხებენ მანქანების მოვლის გაუმჯობესებითა და სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლით. მოწინავე ბრიგადის, ბრიგადირმა ამხ. ბეგიჯანიშვილმა იკისრა 1943 წლის სატრაქტორო სამუშაოები შეასრულოს 750 პროცენტით, მთლიანად მტს-მა კი თავისი წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების გარდა აიღო ვალდებულება კოლმეურნეობებს დაეხმაროს აგრეთვე იმ ნაკვეთების დამუშავებაში, რასაც ისინი წელს გეგმის გადამეტებით სთესენ.

საგრაქჯორო პარკის უკეთესად გამოყენებისათვის

გორის მტს-ი ტრაქტორების რემონტს დროულად შეუდგა და 19 თებერვლისათვის მაღალხარისხოვნად შეაკეთა 33 ტრაქტორი ნაცვლად 32-ისა, საკუთარი საშუალებებით აღადგინა და დაამზადა 27.000 მანეთის მარაგნაწილები.

№ 1 სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი დ. გასიტაშვილი), რომელმაც ვალდებულება აიღო 20 დღით ადრე დაემთავრებინა 6 ტრაქტორის რემონტი, ვალდებულება გაანაღდა.

№ 8 სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ზ. გოჩიაშვილი) ტრაქტორების რემონტის გეგმა კარგი ხარისხით ვადაზე ადრე შეასრულა. ასევე კარგად იმუშავეს ტრაქტორების რემონტზე № 7 სარემონტო ბრიგადამ (ბრიგადირი შ. ყულიაშვილი), № 3 და 4 სარემონტო ბრიგადებმა (ბრიგადირები ყ. ბარიბეგაშვილი და დ. თედლიაშვილი) და ტრაქტორისტებმა: ვ. შავიშვილმა, გ. გიორგაშვილმა, ლ. გოგიაშვილმა, თ. ბერძენიშვილმა და სხვებმა.

სატრაქტორო ბრიგადები უკვე გავიდნენ საგაზაფხულო ხვნაზე. მოხულია 60 ჰექტარი.

მტს-ის მუშაკები აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1943 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის მტს-ების ტრაქტორებისა, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადების შესახებ. პარტიისა და მთავრობის დადგენილებას პასუხად ისინი ვალდებულებას იღებენ დროულად და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოები.

გორის მტს-ის დირექტორი ქ. აბალაკი
პოლიტგანყოფილების უფროსი
გ. ზუმბურიძე

ხორბლეული განთავისუფლებული რაიონებისათვის

თელავი (ტელეგრაფით). თელავის რაიონის კოლმეურნეებმა გერმანელ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული რაიონების მოსახლეობისათვის შეაგროვეს 3.587 ფუთი ხორბლეული.

შეგროვება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) თელავის „რაიკომის მდივანი ხუჯაძე
რაიალმასკომის თავმჯდომარე ციხისთავი

ამერიკის ბომბდამშენების თავდასხმა რუანსა და რენზე

ლონდონი, 8 მარტი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 8 მარტს დღისით ამერიკის მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ მტრის ობიექტებს რუანსა და რენზე.

კიჯღრეღლთა საშინელი მხეცობა პოლონეთში

ლონდონი, 9 მარტი (საკდესი). ჰიტლერელები საშინელ ტერორს მიმართავენ პოლონელი პატრიოტების წინააღმდეგობის ჩასახშობად. ვარშავაში დაძაბული ატმოსფერო სუფევს. გერმანელთა პოლიციის რაზმები განუწყვეტლივ პატრულობენ ქუჩებში. დიდძალ ხალხს ამტრიბენენ და მძევლებს სიკვდილით სჯიან. ამას წინათ გესტაპოს აგენტებმა ვარშავის მახლობლად აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა, რომელიც არალეგალურ პოლონურ პატრიოტულ გაზეთებს ბეჭდავდა. ამის შემდეგ ოკუპანტებმა სიკვდილით დასაჯეს 139 კაცი და გამოაცხადეს, ქალაქს ახალი კონტრიბუცია დაედებაო.

ძლიერდება აგრეთვე ტერორი პოლონეთის სოფლებში. მაგალითად, გერმანელთა ერთმა დამცველმა რაზმმა მთლად გადაბუგა ლიუბლინის მახლობლად 7 სოფელი. ამ სოფლების მცხოვრებ მამაკაცთა მეტი ნაწილი მოსპობილ იქნა, ვინც ცოცხალი გადარჩა, საკონცენტრაციო ბანაკებში გაჰგზავნეს. ათასობით პოლონელ პატრიოტს ჰგზავნიან ქალაქ ოსვიციმზე საკონცენტრაციო ბანაკში, რომელიც განთქმულია საშინელი ამბებით. ამას წინათ გერმანელებმა იქ 9.000 პატიმარი მიჰყვეს. ბანაკში ყოველდღე მასობრივად სჯიან ხალხს სიკვდილით. ასობით პატიმარი შიმშილითა და წამებით იხოცება. გვამები იმდენად ბევრია, რომ გერმანელებმა ბანაკში 6 სპეციალური ღუმელი დასდგეს მათ დასაწვავად.

ოკუპირებულ ქვეყნებში

ათასობით ფრანგი გარბის ქალაქიდან ტყეებსა და მთებში, რათა თავი აარიდოს გერმანიაში სამუშაოდ მობილიზაციას. ჰიტლერელი შემგროველნი პოლიციის დახმარებით ქუჩებში იჭერენ ჯანსაღ კაცებსა და ქალებს და მცველთა თანხლებით გერმანიაში ჰგზავნიან. 6 მარტს ფრანგმა პატრიოტებმა გააფუჭეს ლიანდაგი და დააკავეს იმ მატარებელთა მემანქანეები, რომლებითაც ლიონისა და მარსელის რაიონიდან უნდა გაეგზავნათ მუშები გერმანიაში. მატარებლები მხოლოდ მას შემდეგ გაიგზავნა, რაც შემახვევის ადგილას პოლიციის დიდი რაზმები გამოიწვიეს. დაპატიმრებულია 200-ზე მეტი კაცი. მოსახლეობასთან შეტაკებაში დაჭრილ იქნა ბევრი პოლიციელი.

ამავე დროს ჰიტლერელები განაგრძობენ საფრანგეთის თავაშვებულ ძარცვას. საფრანგეთიდან მიპყავთ თითქმის მთელი მოძრავი სარკინიგზო შემადგენლობა. ხელთ იგდეს ნავსადგურებში დარჩენილი ყველა სავაჭრო გემი. მარტო მარსელის ახლოს მდებარე რაიონში ჰიტლერელებმა მოახდინეს საფრანგეთის 22 ტანკერისა და სატვირთო გემის რეკვიზიცია, ხოლო იტალიელებმა 44 თევზსაჭერი გემი წაიყვანეს. რეკვიზირებულია აგრეთვე მარცვლეულის, ხორცის, ერბო-კარაქისა და კვერცხის მეტი ნაწილი. ამ უტიფარი ძარცვის შედეგად მოსახლეობა უსურსათოდ დარჩა.

ხორვატიაში, როგორც თვით ჰიტლერელი დამქმაბიც კი იძულებული არიან აღიარონ, შეპმულია თითქმის მთელი სათესლე მარცვლეული. მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელი მოსავლის მიუხედავად, გერმანელებმა ხორვატიიდან გაზიდეს სურსათის მეტი ნაწილი. სარეკვიზიციო რაზმებისაგან მოსავლის თუნდაც მცირე ნაწილის გადამალვის ცდებისათვის ხშირად სიკვდილით სჯიან. (საკდესი).

წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება

მაღაროებში სოცშეჯიბრება ახალი ძალით ჩაღდება

ტყიბული („კომუნისტის" საკ. კორ.). სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივის მოწოდებამ წინასამაისო სოცშეჯიბრებას ფართოდ გაშლის შესახებ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ტყიბულის შახტებსა და მაღაროებში. 8 მარტს ლენინის მაღაროში მოწვეულ მიტინგზე მაღაროს პარტიიუროს მდივანმა ამხ. ნ. კობახიძემ დამსწრეთ გააცნო სტალინელთა მოწოდება, რასაც მაღაროელებმა ახალი ვალდებულებების აღებით უპასუხეს.

ქვანახშირის მნგრეველმა სტახანოველმა ი. გაბრიაძემ, რომელიც ყოველდღიურად ორ ნორმას იძლევა, ვალდებულება იკისრა შეასრულოს ორნახევარი ნორმა, მნგრეველმა ლ. გოჩელაშვილმა იკისრა მოგვცეს ორი ნორმა; კომკავშირის ცვლამ (უფროსი ამხ. ი. გობრონიძე), რომელმაც იარაღი-თებერვლის 125 პროცენტით შეასრულა, ახლა [illegible] 130 პროცენტით შეასრულოს.

[illegible] 105 [illegible] 10 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდოს 15 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 5 პროცენტით, მასალები დახოგოს 15 პროცენტით.

ამ ვალდებულებათა განაღდებისათვის მაღაროში დაიწყო ჯგუფური და ინდივიდუალური სოცშეჯიბრების ხელშეკრულებათა განახლება.

სტალინელთა მოწოდებას ახალი ვალდებულებების აღებით უპასუხეს სტალინის სახელობის მაღაროში გელათის მაღაროში და დასავლეთ შახტში.

დ. საბელაშვილი

სტალინელთა მოწოდების პასუხად

ჟუთაისი („კომუნისტის" საკ. კორ.). ქალაქ ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივის წერილს პირველი მაისის შესახვედრად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შესახებ.

ფრონტისადმი დახმარების გაძლიერების ლოზუნგით ჩატარდა მიტინგი ვ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატის ცვლების "ბუშა-მოსამსახურეთა შორის. პირველი მაისის შესახვედრად სოციალისტური შეჯიბრების შესახებ ინფორმაციით გამოიდნენ კომბინატის პარტიიუროს მდივანი ამხ. ა. იოსელიანი და ინჟინერი მიქელაძე. მიტინგზე გამოვიდნენ კომბინატის წარჩინებული ადამიანები, ომიანობის დროის სტახანოველი მუშები და ცვლის უფროსები. მჭოველმა ნ. ტომოშენკომ იკისრა მარტისა და აპრილის გეგმა 120-130 პროცენტით შეასრულოს, საგრეხი საამქროს ცვლის უფროსმა ა. ნარსიამ აიღო ვალდებულება დავალება 110 პროცენტით გაანაღდოს და ა. შ.

სოცშეჯიბრებაში გამოიწვევს ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი

მახარაძე („კომუნისტის" საკ. კორ.). მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივმა თებერვლის საწარმოო გეგმა 105 პროცენტით შეასრულა. ორგზის ორდენოსანი № 92 ქარხნისა და სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივების მოწოდებათა პასუხად ფაბრიკის კოლექტივი ჩაება წინასამაისო სოცშეჯიბრებაში, გამოიწვია ქუთაისის ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატი და აიღო ვალდებულება მარტისა და აპრილის გეგმა შეასრულოს 110 პროცენტით.

ძაფსაღები საამქროს უფროსმა ამხ. ელეონორა დოლიძემ ვალდებულება იკისრა გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად 5 პროცენტით აამაღლოს პროდუქციის ხარისხი. ცვლის უფროსებმა ანდრო ლომინაძემ და ლუბა შარაშიძემ იკისრეს 140 პროცენტით შეასრულონ გეგმები.

სტახანოველებმა ციალა ღლონტმა, თამარ ხუხუნაშვილმა, სონია ჯიჯიგამ აიღეს ვალდებულება 315 პროცენტით შეასრულონ მარტის გეგმები.

ლ. ლოლაძე

ფილმ „სტალინგრადის" წარმატება

10 მარტს მოსკოვის დიდ კინოთეატრებში დაიწყო ახალ დოკუმენტალურ ფილმ „სტალინგრადის" ჩვენება; ფილმი დამზადებულია კინოჭრონიკის ცენტრალურ სტუდიაში. ფილმს დიდი წარმატება აქვს საზოგადოებაში. ყველა სეანსი ანშლაგით ტარდება. პირველ დღეს სურათის ნახვა მოასწრო 55 ათასამდე კაცმა. „კინოპროკატის" მოსკოვის კანტორამ ამ ფილმზე ასობით განაცხადი მიიღო დედაქალაქის სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებისაგან, კლუბებისა და კულტურის სახლებისაგან. ასლგადაღებულ ფაბრიკებში იბეჭდება „სტალინგრადის" 300 ასლი, რომლებიც პირველ რიგში მომსახურებას გაუწევენ ფრონტის ნაწილებსა და განთავისუფლებულ რაიონებს. (საკდესი).

გარდაიცვალა მწერალი ი. მაჭავარიანი

10 მარტს გარდაიცვალა მხცოვანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე მაჭავარიანი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა გამოჰყო განსვენებულის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ი. გრიშაშვილი (თავმჯდომარე), თ. სახოკია, შ. რადიანი, ბ. ყიფტი, ვ. წულუკიძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

12 მარტს, დღის 2 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდიტ. 86) პროფ. **შალვა ნუცუბიძე** წაიკითხავს პოემა **„ამირანს".**

დასწრება თავისუფალია.

მწერალთა კავშირში

12 მარტს, დღის 3 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბის დარბაზში შესდგება პოეტი ქალის მარიკა ბარათაშვილის ახალი ლექსების კითხვა და განხილვა.

დასწრება თავისუფალია.

თეატრებში

12 მარტს: სახოპერა—„ტოსკა". რუსთაველის სახელობის — „ოლეკო დუნდიჩი". **მარჯანიშვილის სახელობის**—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". **გრიბოედოვის სახელობის**—„ერთი ღამის შეცდომები". **სომხური თეატრი**—„ინჟინერი სერგეევი". **ახუნდოვის სახელობის**—„არშინ-მალ-ალან". **მუსიკალური კომედიის**—„როზ-მარი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—„შშობლიური მიწა". **მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი**—„ცისფერი და ვარდისფერი".

კინოებში

რუსთაველის სახ. და ოქტომბერი—„შუენით მოხიბლული". **დამკვრელი**—„იუდენინის განდგურება". **კომკავშირელი** — „პატიმარნი". **ლუსემბურგის სახ.**—„ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან". **სპარტაკი** და **26 კომ. სახ.**—„სამი ფუშკეტერი". **კომინტერნი**—„ამანგელდი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ხუთშაბათიდან. 11 მარტიდან
კინოთეატრებში „რუსთაველში" და „ოქტომბერში"
ნაჩვენები იქნება ამერიკული ფილმი
„შენით მოხიბლული",
განთქმულ მომღერალ **ლოურენს ტიბბეტის** მონაწილეობით
რეჟისორი **ოტტო პრემინგერი,** მუსიკა **არტურ ლენგისა.**
მთავარ როლებში:
უენდი ბერრი, არტურ ტრეჩერი, გრეგორი გეი.
„XX საუკუნე-ფოქსის" ნაწარმოები.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აცხადებს, რომ 1943 წლის 26 მარტს, დღის 3 საათზე, თ. ს. უ. კლუბის დარბაზში, მარის ქ. № 1, ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე დანიშნულია ამხ. **დიმიტრი სევასტის-ძე ჯანელიძის** მიერ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციის დაცვა თემაზე: **„ქართული თეატრის ხალხური საწყისები".**
ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალ. გ. ბარამიძე,** დოცენტი **ქ. გ. კაპანელი.**
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი აკად. ალ. ჯანელიძე

ა.-კ. რკინიგზის საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან გუცა ჩიქოვანის დის
ანეტა აპოლონის-ასულ მიქელაძე-ესაკიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 14/III სოფ. აბაშაში. 495

რკინიგზის № 12 სადგურის ბაღის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება მასწავლებელ თამარ ბერუაშვილის დედის
კ ა ტ ო ს
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 11/III. 496

ქ. თბილისის მე-3 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 14/III, 3 ს. ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია გრიგოლ და ლენა ბრეგაძეების შვილის, პატარა
როლანდ ბრეგაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 497

თბილისის მე-6 საშუალო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებელ მარიამ დოჭვირის ძმის
აპოლონ ბესარიონის-ძე დოჭვირის
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/III, 6 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 74. 498

საქდესის თანამშრომლები იუწყებიან თალიკო წერეთლის ძმის
შოთა ვასილის-ძე წერეთლის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ჭიათურაში. 501

მუხრანის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი იუწყება მეურნეობის თანამშრომელ
კონსტანტინე (ალია) ანტონის-ძე ქვანტრიშვილის
გარდაცვალებას. 503

გამომცემლობა „კომუნისტის" მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ლევან სანებლიძის ძმის
კუკური (ნიკოლოზ) გიორგის-ძე სანებლიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11, 12/III, 7 ს. ბარნოვის ჩიხი № 8. გამოსვენება 14/III, 2 ს.

კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის" გამგეობა იუწყება, რომ 13/III სოფელ არბოშიკში დანიშნულია
ვალიკო ალექსანდრეს-ძე ნარინდოშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 492

თბილისის მე-6 სკოლის მე-9 კლასი იუწყება მასწავლებელ მ. დოჭვირის ძმის
აპოლონ ბესარიონის-ძე დოჭვირის
გარდაცვალებას. 493

ლექციები და მოხსენებები

12 მარტს, სალამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. **გ. ბაქრაძის** კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: „ამამაღლო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები".

კარგქალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომი აცხადებს, რომ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3097307, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მიერ ოლია ბესარიონის-ასულ ფირცხალავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

УЭ 0319

აკადემიკოსი ნ. კეცხოველი

მოსავლიანობის ზრდის უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხები

12 მარტს მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების მეორე სესია, რომელიც მიძღვნილია მარცვლეულის პრობლემისადმი. დღის წესრიგში დაყენებული მოხსენებანი აშუქებენ ისეთს საკითხებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ჩვენს სოციალისტურ მინდვრებზე მოსავლიანობის ზრდას.

საქართველო ხასიათდება მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით. ჩვეულებრივ ერთი კილометრის გავლა საკმარისია, რომ სრულიად ახალ გარემოში მოხვდე, სხვაა ნიადაგი, სხვაა ჰავა და სხვ. საჭირო ხდება დიფერენციირებული, ახალ რაიონში თავისებური მიდგომა ნიადაგებისადმი, აგროტექნიკის ძირითადი საკითხებისადმი. ამიტომ ჩვენ უნდა შევეძლოთ ყოველგვარი ბუნებრივი სხვაობისადმი შეეგმნათ, ჩამოვაყალიბოთ და ხშირად აღვადგინოთ თავისებური აგროტექნიკა, რომელიც უფრო შეეფერება განსაზღვრულ რ